

დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება - ქართული ფილოლოგია
2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ფილოლოგიის ბაკალავრი
3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით - 240 (ECTS) კრედიტი, ხანგრძლივობა - 8 სემესტრი, სემესტრში - 30 კრედიტი
4. სწავლების ენა ქართული
5. პროგრამის ხელმძღვანელები
 - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი - მარიამ მირესაშვილი
 - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი - ლუარა სორდია
 - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი - მერაბ ნაჭყებია

6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე;
- უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩასაბარებლად სავალდებულოა მეოთხე მაპროფილბელი საგნის ჩაბარება ლიტერატურაში.
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებიდან და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მობილობის წესით გადმოსული სტუდენტებისათვის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/5 ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

7. პროგრამის მიზანი

ჰუმანიტარული მეცნიერებების, კულტურისა და განათლების განვითარება მათი ჰუმანიზაციის საფუძველზე განაპირობს ინტერაქტიური ტენდენციების მოქმედებას. უკანასკნელ პერიოდში უფრო ძლიერდება ფილოლოგიის დაკავშირება სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან. ამ პირობებში გაჩნდა ფილოლოგიის დარგის შესწავლისა და პროფესიონალი კადრების მომზადების აუცილებლობა.

მსოფლიოს უძველეს ენებს შორისაა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ენები, რომელთაგან თექვსმეტსაუკუნოვანი წერილობითი ტრადიცია მხოლოდ ქართულს გააჩნია; შესაბამისად, მისი ბუნების შესწავლას არა მარტო ეროვნული, არამედ ზოგადენათმეცნიერული მნიშვნელობა აქვს. ამასთან, ქართული ენა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა; ამდენად, ღირსების საკითხია როგორც მისი მეცნიერული შესწავლა, ასევე ენობრივი ნორმების სწავლებაც. რაც შეეხება თექვსმეტსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ისტორიას, საბაკალავრო პროგრამის მიზანია სამივე პერიოდის (ძველი, ახალი, უახლესი) ზოგადი პრობლემატიკის შესწავლა, ქართული ლიტერატურის ისტორიისა და კრიტიკის, თეორიული პოეტიკის ზოგად კანონზომიერებათა სწავლება.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნები შეესაბამება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რადგან ორიენტირებულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებაზე, საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული განვითარების ხელშეწყობაზე; ტრადიციისა და ინოვაციის ლოგიკურ შერწყმაზე, სტუდენტის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვაზე; სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებასა და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებაზე.

პროგრამა მიზნად ისახავს ზოგადი, ფართო კვალიფიკაციის მქონე ფილოლოგიის მომზადებას ქართული ფილოლოგიის სპეციალობით, რომლის ძირითადი უნარ-ჩვევები ეფუძნება თანამედროვე ჰუმანიტარული მეცნიერებების მიღწევებს, ქართული ენისა და ლიტერატურის კომპლექსურად შესწავლას, მისი განვითარების ისტორიული პროცესის ფართო წვდომას, რაც პრიორიტეტულია ცივილიზებული სამყაროს ნებისმიერი უნივერსიტეტისათვის.

8. სწავლის შედეგები

- **ცოდნა და გაცნობიერება** - ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს სფეროს ფართო ცოდნა; ფლობს თეორიულ ცოდნას შემდეგ დისციპლინებში: ქართული სალიტერატურო ენის ისტორია, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები (მორფოლოგია, სინტაქსი), ქართული ლიტერატურის ისტორია (პერიოდების გათვალისწინებით), ლიტერატურის თეორია და კრიტიკა; სტუდენტმა იცის ენათმეცნიერების და ლიტმცოდნეობის ძირითადი ცნებები და ტერმინები; აცნობიერებს დარგობრივ ლიტერატურას ისტორიული განვითარებისა და თანამედროვე მდგომარეობის თვალსაზრისით; იცის სხვადასხვა ლიტერატურული მიმდინარეობანი და ცნობილ ავტორთა შემოქმედება; დაუფლებულია ტექსტების ლინგვისტური და ლიტმცოდნეობრივი ანალიზის ძირითად მეთოდებს; აქვს ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი კონკრეტული ლიტერატურული/ენობრივი პროცესების მიმართ; სტუდენტი აცნობიერებს ქართული ფილოლოგიის კომპლექსურ საკითხებს.
- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები** - საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიის პრობლემებზე მსჯელობა, თავისი შეხედულებების ლოგიკური დასაბუთება, მხატვრული ტექსტის ანალიზი და კრიტიკული შეფასება; მსჯელობის პროცესში ტექსტების ლინგვისტური და ლიტმცოდნეობრივი ანალიზის ძირითადი მეთოდების გამოყენება; ასევე, სპეციალიზირებული ლიტერატურის წერილობითი და ზეპირი პრეზენტაცია; შეუძლია საკვალიფიკაციო პროექტის (საბაკალავრო ნაშრომი) განხორციელება ქართული ენის ან ქართული ლიტერატურის მიმართულებით წინასწარ განსაზღვრული რეკომენდაციებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის დახმარებით.
- **დასკვნის უნარი** - საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია ქართული ფილოლოგიის სფეროსთან დაკავშირებით გარკვეული მონაცემების შეგროვება და განმარტება; სწავლის მეთოდების შერჩევა და მათი გამოყენება ქართული ფილოლოგიის სფეროში არგუმენტირებული დასკვნების გამოტანის დემონსტრირებისას; ფილოლოგიური მონაცემების ანალიზი, შეფასება და ინტერპრეტაცია. ასევე, ბაკალავრს შეუძლია იმსჯელოს, გამოთქვას კრიტიკული აზრი და ჩამოაყალიბოს დასკვნა ტექსტების ლინგვისტური და ლიტმცოდნეობრივი ანალიზის ძირითადი მეთოდების გამოყენებით.

- კომუნიკაციის უნარი** - საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს გამომუშავებული აქვს კითხვის, ზეპირმეტყველების, წერისა და მოსმენის უნარ-ჩვევების ისეთი დონე, რომელიც საშუალებას მისცემს მას თავისუფლად გამოიყენოს მიღებული ცოდნა ქართულ და უცხოურ ენებზე კომუნიკაციის დროს სპეციალისტთა და არასპეციალისტთა საზოგადოებაში; ჩამოყალიბებული აქვს აკადემიური წერის უნარ-ჩვევები; შეძლებს ნაშრომის წერილობითი ანგარიშის მომზადებას და ზეპირ წარდგენას; ასევე, გამომუშავებული აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიური რესურსების საშუალებით ფილოლოგიური ხასიათის ინფორმაციის მოძიებისა და შემოქმედებითად გამოყენების უნარი, ინფორმაციის სპეციალისტებისათვის და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) ენებზე.
- სწავლის უნარი** - კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივ შეფასება; დროის ეფექტურად დაგეგმვა; სწავლების შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურაში) სწავლის გაგრძელების საჭიროების დადგენა; შეგნებული აქვს უწყვეტი ფილოლოგიური განათლებისა და პროფესიული განვითარების აუცილებლობა. სტუდენტს საშუალება ეძლევა ეტაპობრივად განავითაროს პრაქტიკულ-პროფესიული უნარ-ჩვევები, რაც აუცილებელი პირობაა სწავლის შემდგომი გაგრძელებისათვის მაგისტრატურაში, რომელიც ორიენტირებულია ფილოლოგიის სფეროში მაღალი კვალიფიკაციური კადრების მომზადებაზე.
- ღირებულებები** - კურსდამთავრებულს შეუძლია ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა. ბაკალავრს გააჩნია: სამართლიანი საქმიანი ურთიერთობების წარმართვისა და დაცვის უნარი; პიროვნული პასუხისმგებლობა; სხვათა მოსაზრებების პატივისცემა; მორალური და ეთიკური ნორმებისადმი ერთგულება. ბაკალავრი იცნობს ქართული ენისა და ლიტერატურის განვითარების წყაროებს და გაცნობიერებული აქვს თანამედროვე მეთოდები და ღირებულებები; აცნობიერებს ქართული ენისა და ლიტერატურის ფორმირების პროცესისათვის აუცილებელ მოსაზრებათა გამოყენებას, რომლის საშუალებითაც მიისწრაფვის ღირებულებათა დასამკვიდრებლად ყოველდღიურ ცხოვრებაში.

9. ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	სათემის რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
საფაკულტეტო სავალდებულო კურსები - 45 კრედიტი														
უცხო ენა - 21 კრედიტი						6	6	6	3					
ა)	ინგლისური ენა - დამწყებთათვის <i>(მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა სხვა უცხო ენა შეუძლით აირჩიონ ინგლისური ენა - დამწყებთათვის)</i>													
1.	ინგლისური ენა I (Elementary A1)	ENGL B 001	6	65	85	6								წინაპირობა არ გააჩნია
2.	ინგლისური ენა II (PreIntermediate A2)	ENGL B 002	6	65	85		6							ENGL B 001
3.	ინგლისური ენა III(Intermediate B 1)	ENGL B 003	6	65	85			6						ENGL B 002
ბ)	უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) - არჩევით <i>(მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა)</i>													
1.	უცხო ენა I - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 1.2	ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011	6	65	85	6								წინაპირობის გარეშე
2.	უცხო ენა II - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 2. 1	ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012 RUSS B 012	6	65	85		6							ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011
3.	უცხო ენა III - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 2.2	ENGL B 013 GERM B 013 FREN B 013 RUSS B 013	6	65	85			6						ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012 RUSS B 012

4.	დარგობრივი უცხო ენა - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) (ფილოლოგია)	ENGL B 024 GERM B 024 FREN B 024 RUSS B 024	3	35	40					3				ENGL B 003/ENGL B 013 GERM B 013 FREN B 013 RUSS B 013
5.	ენათმეცნიერების შესავალი	PHIL B101	6	65	85	6								წინაპირობა არ გააჩნია
6.	საქართველოს ისტორია	HIST B101	6	65	85	6								წინაპირობა არ გააჩნია
7.	აკადემიური წერა	ACAD B101	6	65	85	6								წინაპირობა არ გააჩნია
8.	კლასიკური ენა /ლათინური/	LAT B101	3	35	40	3								წინაპირობა არ გააჩნია
9.	ფილოსოფიის შესავალი	PHLS B101	3	35	40	3								წინაპირობა არ გააჩნია
ძირითადი (major) სპეციალობის სავალდებულო კურსები - 96 კრედიტი														
1	ქართველოლოგიის შესავალი	GEO B101	6	65	85		6							წინაპირობის გარეშე
2.	ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი	PHIL B102	6	65	85		6							წინაპირობის გარეშე
3.	ლიტერატურის თეორია	PHIL B103	6	65	85			6						ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი
4.	ზოგადი ენათმეცნიერება	PHIL B104	6	65	85			6						ზოგადი ენათმეცნიერება
5.	ქართული სალიტერატურო ენის ისტორია	GEO B102	6	65	85				6					ქართული გრამატიკის საფუძვლები 1,2,3
6.	ქართული გრამატიკის საფუძვლები 1 (ფონეტიკა, ფონოლოგია)	GEO B103	6	65	85		6							ენათმეცნიერების შესავალი
7.	ქართული გრამატიკის საფუძვლები 2 (მორფოლოგია)	GEO B104	6	65	85			6						ქართული გრამატიკის საფუძვლები 1 (ფონეტიკა, ფონოლოგია)
8.	ქართული გრამატიკის საფუძვლები 3 (სინტაქსი)	GEO B105	6	65	85				6					ქართული გრამატიკის საფუძვლები 2 (მორფოლოგია)
9.	ძველი ქართული სასულიერო მწერლობა (ჰაგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია)	GEO B106	6	65	85		6							წინაპირობის გარეშე
10.	ძველი ქართული საერო მწერლობა	GEO B107	6	65	85			6						ძველი ქართული სასულიერო მწერლობა (ჰაგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია)
11.	ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია	GEO B108	6	65	85				6					ძველი ქართული საერო მწერლობა
12.	უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია	GEO B109	6	65	85					6				ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია
13.	ქართული რომანტიზმი	GEO B110	3	35	40					3				ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია
14.	ძველი ქართული ენა	GEO B111	6	65	85						6			ქართული პალეოგრაფია

15.	ქართული პალეოგრაფია	GEO B112	3	35	40					3				ქართველოლოგიის შესავალი
16.	რუსთველოლოგია	GEO B113	3	35	40				3					ძველი ქართული საერო მწერლობა
17.	საბაკალავრო ნაშრომი	GEO B114	9	75	150								9	პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები
ძირითადი (major) სპეციალობის არჩევითი კურსები - 30 კრედიტი														
ქართველური ენათმეცნიერების ბლოკი - 15 კრედიტი (სტუდენტი ირჩევს სასწავლო კურსებს სემესტრებში მითითებული კრედიტების შესაბამისად)														
18.	ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა	GEO B115	3	35	40									ქართველური ენები (სვანური, ზანური)
19.	დიალექტოლოგია	GEO B116	3	35	40									ქართული გრამატიკის საფუძვლები 3 (სინტაქსი)
20.	ქართული ლექსიკოლოგია	GEO B117	6	65	85									ენათმეცნიერების შესავალი
21.	სტილისტიკა	GEO B118	6	65	85									ენათმეცნიერების შესავალი
22.	ქართველური ენები (სვანური, ზანური)	GEO B119	6	65	85									ქართველოლოგიის შესავალი
23.	ქართული ენათმეცნიერული აზრის ისტორია	GEO B120	6	65	85									ენათმეცნიერების შესავალი
24.	აფხაზური ენა	GEO B121	6	65	85									ენათმეცნიერების შესავალი
ლიტერატურათმცოდნეობის ბლოკი - 15 კრედიტი (სტუდენტი ირჩევს სასწავლო კურსებს სემესტრებში მითითებული კრედიტების შესაბამისად)														
25.	XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები	GEO B122	6	65	85					3				ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია
26.	ქართული კრიტიკის ისტორია	GEO B123	3	35	40									წინაპირობა არ აქვს
27.	XIX საუკუნის ქართული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზროვნება	GEO B124	3	35	40									ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია
28.	სატირა და იუმორი ქართულ მწერლობაში	GEO B125	3	35	40									ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია
29.	ქართული მოდერნიზმი	GEO B126	6	65	85									უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია
30.	ქართული პოსტმოდერნიზმი	GEO B127	3	35	40									უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია
31.	მსოფლიო ლიტერატურის ისტორია	GEO B128	3	35	40									ლიტმცოდნეობის შესავალი
32.	XX საუკუნის ქართული ლიტერატურული სკოლები და მიმდინარეობები	GEO B129	3	35	40									უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია

<p>თავისუფალი კურსები (სტუდენტს ნებისმიერი კურიკულუმის ფარგლებში შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი)</p>	9					3		3+3		
<p>დამატებითი (minor) პროგრამა ან მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა (დამატებით (minor) პროგრამას სტუდენტი ირჩევს უნივერსიტეტის ნებისმიერი კურიკულუმიდან)</p>	60			12	12	12	12	12	12	
<p>ს უ ლ - 240 კრედიტი</p>		30	30	30	30	30	30	30	30	

10. დამატებითი (Minor) პროგრამა - ქართული ფილოლოგია

- პროგრამის სახელწოდება - დამატებითი (Minor) პროგრამა ქართული ფილოლოგია
- სწავლების ენა - ქართული
- პროგრამის მოცულობა კრედიტებით - 60 (ECTS) კრედიტი /5 (IV-VIII)სემესტრი/ სემესტრში - 12 კრედიტი.
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - წინაპირობის გარეშე
- პროგრამის მიზანი - ქართული ფილოლოგიის დამატებითი (Minor) პროგრამის სწავლების უზრუნველყოფა ხდება ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო უნარების ათვისების პრინციპით. საგანმანათლებლო პროგრამა არის დამატებითი სპეციალობის შეძენის მსურველთათვის. მასში გათვალისწინებულია, როგორც ზოგადი თეორიული კურსები, რომლებიც ანვითარებენ მომავალი სპეციალისტის საბაზო განათლებას, ასევე სპეციალური პრაქტიკულ-თეორიული კურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ განათლებას ფილოლოგიის სფეროში. მთლიანობაში დამატებითი (Minor) პროგრამა ორიენტირებულია საბაზისო უნარ-ჩვევების შეძენაზე. პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტის ინდივიდუალური ანალიტიკური უნარების ფორმირებას, განვითარებას, კარიერული შესაძლებლობის გაფართოებასა და კვალიფიკაციის შემდგომ საფეხურზე შეცვლის საშუალებას. პროგრამა მიზნად ისახავს მისცეს სტუდენტს ზოგადი ცოდნა ქართული ფილოლოგიის სპეციალობით, ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლა. პროგრამის მიზანია სამივე პერიოდის ქართული ლიტერატურის (ძველი, ახალი, უახლესი) ზოგადი პრობლემეტიკის შესწავლა და ქართული გრამატიკის საფუძვლების ზოგადი ცოდნა.

- **სწავლის შედეგები**

- **ცოდნა და გაცნობიერება** - კურსდამთავრებულს აქვს სფეროს ზოგადი ცოდნა; ფლობს თეორიულ ცოდნას შემდეგ დისციპლინებში: ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი), ქართული ლიტერატურის ისტორია (ძველი, ახალი და უახლესი) პერიოდების გათვალისწინებით).
- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები** - შეუძლია ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიის პრობლემებზე მსჯელობა, თავისი შეხედულებების ლოგიკური დასაბუთება.
- **დასკვნის უნარი** - შეუძლია მონაცემების შეგროვება და განმარტება; სწავლის მეთოდების შერჩევა და მათი გამოყენება ქართული ფილოლოგიის სფეროში არგუმენტირებული დასკვნების გამოტანის დემონსტრირებისას; შეუძლია იმსჯელოს, გამოთქვას კრიტიკული აზრი და ჩამოაყალიბოს დასკვნა.
- **კომუნიკაციის უნარი** - კურსდამთავრებულს გამომუშავებული აქვს კითხვის, ზეპირმეტყველების, წერისა და მოსმენის უნარ-ჩვევების ისეთი დონე, რომელიც საშუალებას მისცემს მას თავისუფლად გამოიყენოს მიღებული ცოდნა ქართულ ენაზე კომუნიკაციის დროს არასპეციალისტთა საზოგადოებაში.
- **სწავლის უნარი** - შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივ შეფასება; დროის ეფექტურად დაგეგმვა; სტუდენტს საშუალება ეძლევა ეტაპობრივად განავითაროს პრაქტიკულ-პროფესიული უნარ-ჩვევები.
- **ღირებულებები** - შეუძლია ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა. გააჩნია: სამართლიანი საქმიანი ურთიერთობების წარმართვისა და დაცვის უნარი; პიროვნული პასუხისმგებლობა; სხვათა მოსაზრებების პატივისცემა; მორალური და ეთიკური ნორმებისადმი ერთგულება. იცნობს ქართული ენისა და ლიტერატურის განვითარების წყაროებს და გაცნობიერებული აქვს თანამედროვე მეთოდები და ღირებულებები.

• დამატებითი (Minor) პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელ	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
სავალდებულო სასწავლო კურსები - 45 კრედიტი														
1.	ქართული გრამატიკის საფუძვლები 1 (მორფოლოგია)	GEO B103	6	65	85				6					წინაპირობის გარეშე
2.	ქართული გრამატიკის საფუძვლები 2 (სინტაქსი)	GEO B104	6	65	85					6				GEO B103
3.	ძველი ქართული სასულიერო მწერლობა (ჰაგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია)	GEO B106	6	65	85				6					წინაპირობის გარეშე
4.	ძველი ქართული საერო მწერლობა	GEO B107	6	65	85					6				GEO B106
5.	ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია	GEO B108	6	65	85						6			GEO B107
6.	უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია	GEO B109	6	65	85							6		GEO B108
7.	ძველი ქართული ენა	GEO B111	6	65	85							6		GEO B112
8.	ქართული პალეოგრაფია	GEO B112	3	35	40						3			წინაპირობის გარეშე
არჩევითი კურსები - 15 კრედიტი														
არჩევითი სასწავლო კურსების არჩევა ხდება ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსებიდან											3		6+6	
ს უ ლ - 60 კრედიტი									12	12	12	12	12	